ვფიცავ ალლაჰს, თუ ალლაჰი შენი მეშვეობით ერთ ადამიანს სწორ გზაზე დააყენებს, ეს შენთვის უფრო უკეთესია, ვიდრე რომ გყავდეს წითელი აქლემები

საჰლ ბინ სა'დ (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ხაიბარის დღეს თქვა: «ხვალ ამ დროშას მივცემ კაცს, რომლის ხელითაც ალლაჰი გამარჯვებას მოგვცემს. იგი ალლაჰსა და მის შუამავალს უყვარს და მასაც უყვარს ალლაჰი და მისი შუამავალი». ხალხმა იმ ღამეს მთელი დრო გაატარა ფიქრში, თუ ვინ იქნებოდა ამ დროშის მფლობელი. მეორე დილით ყველა შუამავალთან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მივიდა იმ იმედით, რომ იგი მათ გადაეცემოდა. მაშინ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «სად არის ალი იბნ აბუ ტალიბი?» უპასუხეს: "ო, ალლაჰის შუამავალო, ის თვალების ტკივილს უჩივის". მან თქვა: «მოიყვანეთ იგი». ალი მოვიდა და შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თავისი ნერწყვი მის თვალებზე წაუსვა და მისთვის შესთხოვა ალლაჰს. ალი მყისვე განიკურნა, თითქოს არანაირი ტკივილი არ ჰქონია. შემდეგ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გადასცა მას დროშა. ალიმ ჰკითხა: "ო, ალლაჰის შუამავალო, ვებრძოლო მათ, სანამ ჩვენნაირები არ გახდებიან?" შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უპასუხა: «მიდი მშვიდად, სანამ მათ ტერიტორიაზე მიხვალ. შემდეგ მოუწოდე მათ ისლამისკენ და აუხსენი, თუ რა არის მათი მოვალეობა ალლაჰის წინაშე. ვფიცავ ალლაჰს, თუ ალლაჰი შენი მეშვეობით ერთ ადამიანს სწორ გზაზე დააყენებს, ეს შენთვის უფრო უკეთესია, ვიდრე რომ გყავდეს წითელი აქლემები».

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) აცნობა საჰაბებს, რომ მომდევნო დღეს მუსლიმები გაიმარჯვებდნენ ხაიბარის იუდეველებზე. ეს გამარჯვება განხორციელდებოდა იმ კაცის ხელით, ვისაც წინასწარმეტყველი დროშა მისცემს, ეს დროშა იყო ის ნიშანი, რომელსაც ჯარი იყენებდა თავისი სიმბოლოს სახით, ამ ადამიანის თვისებებს მიეკუთვნება ის, რომ მას უყვარს ალლაჰი და მისი მოციქული, ხოლო ალლაჰს და მის მოციქულსაც უყვარს ის, საჰაბებმა ღამე გაატარეს იმაზე ფიქრში და საუბარში, თუ ვის გადაეცემოდა ეს დროშა, რადგან ყველას სურდა ამ უდიდესი პატივის მიღება, როცა დადგა დილა, ისინი წავიდნენ მოციქულთან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) და თითოეული იმედოვნებდა, რომ ეს დიდი პატივი სწორედ მას ერგებოდა, შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) იკითხა, თუ სად არის ალი იბნ აბუ ტაალიბი (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი)? უთხრეს, რომ ის უჩივის თვალების ავადმყოფობას. ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მასთან გაგზავნა კაცი, და როცა მასთან მოიყვანეს, მოციქულმა თავისი წმინდა ნერწყვი ალის თვალებში წაუსვა და მისთვის ილოცა. ამის შემდეგ ალი განიკურნა, თითქოს არც კი აწუხებდა ტკივილი. მოციქულმა მას გადასცა დროშა და დაავალა, რომ მშვიდად მიახლოებოდა მტრის ციხესიმაგრეს. მას უნდა

შეეთავაზებინა მათთვის ისლამში შესვლა, ხოლო თუ ისინი დათანხმდებოდნენ, ალის მათთვის უნდა ემცნობებინა თუ რა ევალდებულებოდათ მათ. შემდეგ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ალის განუმარტა ალლაჰისკენ მოწოდების მნიშვნელობა და მისი უზენაესობა. მან უთხრა, რომ თუ მისი მოწოდებით ერთი ადამიანის სწორ გზაზე დაყენების მიზეზი გახდება, ეს მისთვის უკეთესია, ვიდრე ჰყავდეს წითელი აქლემები, რომლებიც არაბებისთვის ყველაზე ძვირფასი ქონებაა, იქნება ეს მათი ფლობა თუ ქველმოქმედება მისით.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/3409